საქართველოს მთავრობის
განკარგულება

№1411 2016 წლის 18 ივლისი ქ. თბილისი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ქ. თბილისში, გულუას ქ. №10-ში მდებარე ადმინისტრაციულ შენობაში ვიდეოსამეთვალყურეო ცენტრის შექმნისა და განთავსებისთვის საჭირო საქონლის, მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ქ. თბილისში, გულუას ქ. №10-ში მდებარე ადმინისტრაციულ შენობაში ვიდეოსამეთვალყურეო ცენტრის შექმნისა და განთავსებისათვის საჭირო საქონლის, მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი